პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 105 (3082)

2

1966 წ. ივნისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ალექსანდრა ჭანუყაშვილმა, სსრ კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ახლახან მოსკოვს გამართულ შეჯიბრებაში ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა. ბჭენით ხტომებში მან ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა, ხოლო დვირზე ვარჯიშში ბრინჯაოს მედალი მოიგო. ამ ნიჭიერ სპორტსმენზე გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ პირდაპირ წერდა, რომ იგი ერთადერთი ტანმოვარჯიშე ქალია ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით იასპარეზოს ბჭენით ხტომებში.

მარცხენა სურათზე თქვენ ა. ჭანუყაშვილს სწორედ ხტომის მომენტში ხედავთ.

ზედა სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. ასტახოვა (კიევი) დვირზე ვარჯიშისას.

ფოტო ბ. სეტლანოვისა და მ. ზარგარიანისა.

ნორჩებს ბურთი და მოედანი!

ᲓᲦᲔᲡ თბილისში სტარტს აიღებს საქართველოს მოსწავლეთა XVIII ტრადიციული სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ 20 სახეობაში 3500-მდე მოსწავლე იასპარეზებს.

თბილისში ჩატარდება შეჯიბრება სპორტის 14 სახეობაში. კალათბურთელები გამოვლენ სოხუმში (11-18 ივნისს), მოშაშენი (15-19 ივნისს) და ნიჩბოსნები (10-18 ივნისს)—ქუთაისში, მოკრივენი (11-14 ივნისს) და წყალში მხტომელები (16-19 ივნისს) — ბათუმში, ხოლო ფეხბურთელები — ცხინვალში (2-6 ივნისს).

წლევანდელი სპარტაკიადა წინუსწრებს ამიერკავკასიის მოსწავლეთა მეგობრულ თამაშებს, რომელიც ივლისში გაიმართება თბილისში (ტანვარჯიში, წყალში ხტომა, ჩოგბურთი, ხელბურთი და ველოსპორტი), ფოთში (ნიჩბოსნობა), ბაქოში (კრივი, წყალბურთი, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი), სუმგაითში (ჭადრაკი), ერევანში (თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ფრენბურთი, მძლეოსნობა), ლენინაკანში (სროლა და ფარიკაობა) და არტაშატში (ფეხბურთი). ამ ასპარეზობისადმი ინტერესი მით უფრო დიდია, რომ ცალკეულ სახეობებში გამოვლენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები (თვითეულ სახეობაში რესპუბლიკათა ერთი ან ორი ნაკრები).

ამდენად, წლევანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადა დიდი და საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მზადყოფნის შემოწმებად მოგვევლინება.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის კალენდარი იხ. მე-2 გვ.

და კვლავ სენსაცია!

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1 ივნისი. ავსტრალიის „მესამე ჩოგანთან“ ტ. როჩთან დამარცხების მიუხედავად (7:5, 3:6, 1:6, 5:7), თბილისელი ა. მეტრეველი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნამდვილ გმირად აღიარეს. მიწის კორტებზე არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად წოდებულ ტურნირში 8 უძლიერესი ჩოგბურთელის კომპანიაში მოხვედრა განა პატარა საქმეა! ა. მეტრეველი ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან ერთად მაინც გახდა ახალი სენსაციის ავტორი. ამ წყვილმა მერვედფინალში მოუგო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დუეტს — ავსტრალიელებს რ. ემერსონსა და ფ. სტოლეს — 4:6, 6:3, 11:9, 9:7.

XXI ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

11:10

მოსკოვი, 1 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან — სპასკის მატჩის XXI პარტია.

მეტოქეებმა მესამედ გაითამაშეს ფრანგული დაცვა. სპასკის ამ სადებიუტო სისტემასთან კარგი მოგონებები აკავშირებს. ამ დებიუტის წყალობით დაძრა მთელი ძალა. მაგრამ მე-18 სვლაზე „ფეხი დაუცდა“ და პეტროსიანმა შეძლო ლაზიერების გაცვლა. თამაში გათანაბრდა.

ენდშპილში გადასვლისას პეტროსიანმა ყაიმი შესთავაზა სპასკის, მაგრამ პრეტენდენტმა არ მიიღო ეს წინადადება. ბრძოლა გაგრძელდა საყაიმო დაბოლოებაში და როცა მთლიანად ამოიწურა აქტიური თამაშის შესაძლებლობანი, მეტოქეები სპასკის წინადადებით დაწავდნენ.

აი, პარტიაც:

სპასკი — პეტროსიანი
ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. Dc3 Df6 4. Cg5 de 5. De4 Ce7 6. C:f6 C:f6 7. c3 Dd7 8. Df3 0—0 9. Cd3 e5 10. Lc2 ed 11. cd g6 12. h4 Cg7 13. h5 Df6 14. hg hg 15. 0—0—0 De4 16. C:e4 Cg4 17. Lb3 Ld6 18. Eh4 Lf4+ 19. Le3 L:e3+ 20. fe C:f3 21. gf c6 22. Dfd2 Efe8 23. b4 Cf6 24. Eg4 Ee7 25. Cd3 Eae8 26. Ee1 a6 27. Cc4 Dfg7 28. Egg1 Eh8 29. Eh1 E:h1 30. E:h1 Ed7 31. Cb3 Cd8 32. f4 f5 33. Dfd3 a5 34. ba C:a5 35. Ec1 Dgf6 36. Ec4 Ed8 37. Dfe2 Cc7 38. Ea4 g5 39. fg+ Dg:g5. ყაიმი.

ამრიგად, XXI პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 11:10 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. XXII პარტია შედგება 3 ივნისს.

ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ...

● ᲕᲠᲝᲪᲚᲐᲕᲘ, 1 ივნისი. გუშინწინაქ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების მოჭარიკავეთა V ტრადიციული ტურნირი. შესანიშნავად იასპარეზეს უნგრელებმა, რომლებმაც 105 ქულა მოაგროვეს და I ადგილი დაიკავეს. შემდეგ არიან: სსრ კავშირი (89 ქულა), პოლონეთი (52), რუმინეთი (29), გდრ (23) და ბულგარეთი (10). საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებიც რამდენადმე შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდნენ, 8 პირველი პრიზიდან 3 ხვდათ წილად: გაიმარჯვეს ეპაპადრონისტებმა, დაშნით მოჭარიკავეებმა და მინსკელმა ტ. სამუსენკომ (ქალთა პირად ტურნირში). სსრ კავშირის ქალთა გუნდის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა: მის სახელს ხომ მსოფლიოს 3 ჩემპიონი — მოსკოველები გ. გოროხოვა, ვ. რასტვოროვა და ა. ზაბელინა იცავდნენ. მაგრამ ფავორიტებმა წაგეს გადამწყვეტი მატჩი უნგრელებთან — 7:9.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ მორიგი ტურის მატჩები „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. აი. მათი შედეგები: „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „მშაბტე“ (ტყიბული) 1:0, „ეროფეი“ (კრიმსკი) — „დილა“ (გორი) 1:0, „ეროფეი“ (ზაიკოპი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „არაქსი“ (ერევანი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 2:1.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

გაიმართა 2 მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის ლიდერები — ადგილობრივი „დინამო“ და „სპარტაკი“. მატჩის ბედი გადაწყვიტა 89-ე წუთზე. ბიბას მიერ მოსკოველთა კარში გატანილმა გოლმა. გაიმარჯვეს კიეველებმა — 1:0.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ თამაშობდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი) — ასკ (როსტოვი). სსრ კავშირის ჩემპიონმა სტუმრების წინაშე ფარ-ხმალი დაყარა — 1:3.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდეომარეობა 2 ივნისისათვის.

„Ჯ“ ᲚᲘᲒᲐ I ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	10	8	2	0	25—2	18
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	10	6	3	1	13—4	15
ასკ (როსტოვი)	9	6	1	2	15—12	13
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	9	4	4	1	17—6	12
„არარატი“ (ერევანი)	9	4	3	2	10—6	11
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	9	2	7	0	7—5	11
„ტორპედო“ (მოსკოვი)	9	3	3	3	13—12	9
„დინამო“ (მოსკოვი)	9	4	1	4	8—7	9
ცსკა	8	2	5	1	9—9	9
„ქაირატი“ (ალმა-ათა)	9	3	2	4	8—10	8
„დინამო“ (თბილისი)	8	2	3	3	7—8	7
„შახტიორი“ (დონეცკი)	8	3	1	4	7—11	7
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	9	3	1	5	9—15	7
ასკ (ოდესა)	8	1	4	3	4—9	6
„დინამო“ (მინსკი)	9	2	2	5	8—15	6
„ტორპედო“ (ქუთაისი)	9	3	0	6	12—20	6
„ჩერნოზემორეცი“ (ოდესა)	8	1	3	4	5—10	5
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	8	1	3	4	5—14	5
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	8	1	0	7	7—15	2

„Გ“ ᲚᲘᲒᲐ IV ᲯᲒᲣᲤᲘ

ნორჩებს ბურთი და მოედანი!

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის კალენდარი

სპორტის სახეობა	თარიღი	შეჯიბრების ადგილი
ფრენბურთი	2-8 ივნისი	საქალაქო სპორტკავშირის მოედნები. პლეხანოვის პრ. № 115.
ველოსპორტი	2-5 ივნისი	ნატახტრის გზატკეცილის 33-ე კმ.
ტანვარჯიში	2-5 ივნისი	თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული სპორტსკოლა. პეტრიაშვილის ქ. № 7.
სროლა	2-5 ივნისი	ავჭალის სასროლეთი.
ფარიკაობა	2-5 ივნისი	თბილისის ტრანსპორტის სამმართველოს სპორტდარბაზი.
თავისუფალი ჭიდაობა	2-4 ივნისი	ლენინის სახ. სპორტდარბაზი.
ჭადრაკი	2-10 ივნისი	ცენტრალური საჭადრაკო კლუბი.
წყალბურთი	6-10 ივნისი	ზამთრის საცურაო აუზი (ვაკე).
მაგიდის ჩოგბურთი	7-11 ივნისი	ფიზკულტურის ინსტიტუტი.
ხელბურთი	7-14 ივნისი	„განთიადის" მოედნები.
ჩოგბურთი	8-16 ივნისი	„დინამოს" კორტები.
მძლეოსნობა	11-14 ივნისი	„დინამოს" სტადიონი.
კლასიკური ჭიდაობა	12-15 ივნისი	ლენინის სახ. სპორტდარბაზი.
ცურვა	17-20 ივნისი	ზამთრის საცურაო აუზი (ვაკე).

გულშემატკივრის რეპლიკა

განა ეს საქალრისაა?!

ეს მოხდა ტყვარჩელის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში. ერთმანეთს ხვდებოდნენ ტყვარჩელისა და გულრიფშის კალათბურთელ მოსწავლეთა ნაკრები გუნდები. სტუმრებმა თამაში დაიწყეს გააზრებულად, სწრაფი ტემპით და პირველივე წუთებიდან დაწინაურდნენ. ეს არ მოეწონათ ადგილობრივ კალათბურთელებს და მეტოქეებს სარმითა და უხეშობით „გაუმასპინძლდნენ". მათ არც მაყურებლები ჩამორჩნენ, — პაპიროსს ახრჩოლებდნენ და რაც ხელში მოხვდებოდათ, სტუმრებს დაურიდებლად ესროდნენ. საბოლოოდ, მატჩი ტყვარჩელელებმა მოიგეს. მოთამაშეთათვის კი ნორმალური პირობები რომ შეექმნათ, გამარჯვების სასწორი უთუოდ დამარცხებულთა მხარეს გადაიხრებოდა.

მოგება ყველას სწყურია, მაგრამ მის მისაღწევად კალათბურთელებს კალათში ზუსტი ტყორცნა უნდა ... მოჭიდავეთა ილეთი — სარმა.

ერთი სიტყვით, ტყვარჩელელებმა გულრიფშელებს ვერაფერი მასპინძლობა გაუწიეს. ზოგი მათგანის უსაქციელობა, სხვა რომ არა, ჩრდილს ფენს ცნობილი ქალაქის სახელს. ასეთებს სპორტულ სარბიელზე და მაყურებელთა რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

ს. რურუა.

თვალწარმტაც სანახაობათა მხარე

◆

საუკეთესო შედეგები ევროპაში

◆

14 სახეობა...

ცხინვალელთა წარმატებით

მონაწილეობდა 5 გუნდი

სამხრეთ ოსეთის მოსწავლეთა ტრადიციულ საოლქო სპარტაკიადაში ნორჩი სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ფრენბურთში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქალაქ ცხინვალის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების ნაკრები გუნდები

სპორტის სამივე სახეობაში I ადგილები ცხინვალელმა სპორტსმენებმა დაიკავეს.

ჭაბუკ ფრენბურთელთა ტურნირში II ადგილზე გავიდნენ ჯაველები, ხოლო III — ცხინვალის რაიონის წარმომადგენლები. გოგონათა გუნდებში II ადგილზეა ზნაური, III — ჯავა.

კალათბურთში II ადგილზე არიან ლენინგორელი ჭაბუკები და ზნაურელი გოგონები.

მძლეოსნობაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ჭაბუკთა შორის — 100 და 200 მეტრზე რბენაში ა. ჯიკაევი (ცხინვალი), ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში — ზ. ჯიოევი (ცხინვალი), 800 და 1.500 მეტრზე რბენაში — ცხინვალელი ფ. ჯიოევი, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში — ვ. ლოხოვი (ცხინვალი), 5.000 მეტრზე სპორტულ სიარულში რ. ხარებოვი (ცხინვალი); გოგონებში: 100, 200 და 800 მეტრზე რბენაში — ფ. ბეთეევა (ცხინვალი), ბირთვის კვრაში — ვ. ჯაბიევა (ჯავა), ბადროს ტყორცნაში — ლ. ჩოჩიევა, სიმაღლეზე ხტომაში — რ. ხოდოვა, სიგრძეზე ხტომაში — ფ. სანაკოევა (ყველანი — ცხინვალი).

ესტაფეტა 4×100 მეტრზე როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა გუნდებს შორის მასპინძლებმა მოიგეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ქალაქის ნაკრებმა. II ადგილზეა ჯავის რაიონის კოლექტივი.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ვარციხე, ფერსათი, დიმი...

მაიაკოვსკის რაიონის სპორტულ ბაზებზე ორ თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა სოფლის სპორტსმენთა რაიონული სპარტაკიადა, რომელშიც ოცამდე ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ფრენბურთში, ტყვიის სროლაში, ჭადრაკსა და შაშში.

გამარჯვებული ფიზკულტურული კოლექტივისთვის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის" რედაქციას დაწესებული ჰქონდა სპეციალური პრიზი. მისი მფლობელები გახდნენ ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები, რომლებმაც პირველობა მოიპოვეს ჭადრაკში, ფრენბურთში, ველოსპორტსა და მძლეოსნობაში.

II ადგილი დაიკავა ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის, ხოლო III — დიმის სვერდლოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

გ. მუავანაძე.

მაიაკოვსკის რაიონი.

მეგობრობის მატჩები

ვოლგოგრადი, 30 მაისი. უკრაინისა და რსფსრ-ს მძლეოსანთა მატჩში ბევრი კარგი შედეგი აჩვენეს. 5.000 მეტრზე რბენაში გაუმჯობესდა 2 რეკორდი. ა. მაკაროვმა რსფსრ-ს ახალი რეკორდი დაამყარა — 13.40,2; მას 0,6 წამით ჩამორჩა ს. ბაიდუკი. მისი მაჩვენებელი უკრაინის რეკორდია. ორივე შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში. 100 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ნ. ივანოვი (რსფსრ) — 10,4. 80 მეტრზე თარჯრბენი მოიგო რ. ლარიონოვამ (რსფსრ) — 10,9. გ. კონდრაშევმა (რსფსრ) ყველაზე შორს ტყორცნა ურო — 67,10 მ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რსფსრ-ს კოლექტივმა — 454,5 ქულა. უკრაინელები 51 ქულით ჩამორჩნენ.

დუშანბე, 30 მაისი. შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ა. ტუიაკოვმა 100 მეტრზე 10,4, ხოლო 200 მეტრზე — 21,4 აჩვენა და იგი მატჩის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ქალებში ასეთი წოდება მოიხვეჭა 20 წლის ვ. კორსაკოვამ (ყირგიზეთი). მან შესანიშნავი შედეგი მოიპოვა 100 მეტრზე თარჯრბენში — 14,4. ლ. შეიდინამ ბადროს ტყორცნაში ყაზახეთის რეკორდი დაამყარა — 50,06. ურო ყველაზე შორს ტყორცნა მისმა თანაგუნდელმა ე. ანდრისმა — 62,65. გუნდურ ჩათვლაშიც ყაზახეთის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს.

პანევეჟისი, 30 მაისი. გუშინ აქ დამთავრდა ბალტიისპირეთისა და ბელორუსიის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. იგი ბელორუსიელი სპორტსმენების გამარჯვებით აღინიშნა (405,5 ქულა). ცუდი ამინდის მიუხედავად, ყველა სახეობაში დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა. გაზეთ „პრავდის" პრიზზე 5.000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა გ. ხლისტოვმა ბოლო მეტრზე წააგო ესტონელ მ. ვილტთან — 13.56,4. შეჯიბრების ფავორიტმა, ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა ბ. კალედენემ შუბის ტყორცნაში პირველობა „დაუთმო" ახალგაზრდა თანაგუნდელს ი. დუნაისკაიტეს — 53,10.



10.000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა კ. ორენტასმა — 29.30,4. მ. იტკინამ მოიგო 100 მეტრზე რბენა — 11,8, ხოლო ა. ბალტოვსკი უძლიერესი იყო უროს ტყორცნაში — 63,64.

ფოტო თვალით

გამარჯვებული და როცა გამარჯვებამდე ორიოდე მეტრი იყო დარჩენილი

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩში, რომელიც ამას წინათ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა, „სპორტის დედოფლის" ახალ სახეობაში—100 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა თბილისელმა თამარ კლდიაშვილმა. მან ამ წარმატებას მთელი ძალ-ღონის დაძაბვით მიაღწია და გუნდს ქულათა მაქსიმუმი შესძინა.

200 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის თავდადებით იბრძოდა საქართველოს რეკორდსმენი ჭაბუკებში ე. კონდრატიევიც. იგი თითქმის მთელ მანძილზე ქარივით მიჰქროდა, მაგრამ ზედ ფინიშთან ფეხი აერია, წონასწორობა დაჰკარგა, დაეცა და... მეტოქისთვის ხელის შეშლისთვის იგი შეჯიბრებიდან მოხსნეს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქვევით—ე. კონდრატიევის საბედისწერო შემთხვევა; მარჯვნივ — თ. კლდიაშვილი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.





აი, მიზანი

ჩვეულებრივ, ბაქსანიდან ამოსული ტურისტები მესტიის, ბეჩოს და ნაკრას გადასასვლელებით ენგურის ხეობაში ეშვებიან. სურთ საკუთარი თვალით ნახონ ჩვენი ზღვა, მთები, ჩვენი ხალხი, „ენგურის მზის" მშენებელთა საგმირო საქმეები. მერე, შინდაბრუნებულებმა სხვებს უამბონ მათზე.

ახლა თავად ენგურჰესის — მსოფლიოში უმაღლესი თაღოვანი კაშხალის მშენებლებმა შექმნეს ტურისტული კლუბი. სანახავი ბევრია (და შაბათკვირაც ხომ ყოველ მეექვსე დღეს უწევს).

ზედ კაშხალის თავზეა წულიში — კონუსისებრი მთა. აქ გადის გრინვიჩიდან აღმოსავლეთით 42-ე მერიდიანი. ჩრდილოეთით ეგრისის ქედის თოვლიანი მთები აღმართულან, მისი უმაღლესი მწვერვალი ლაკუმურაშ დუდი (3.116 მ) უახლოესი ლაშქრობის მიზანია.

— უფრო შორს სვანეთის ქედი და ცენტრალური კავკასიონია. ზაფხულში მე თავად გავუძღვები იქით ენგურჰესის ენთუზიასტ მთამსვლელებს, — ამბობს სპორტის დამსახურებული ოსტატი, ცნობილი ალპინისტი დიმიტრი ობოლაძე.

სამხრეთით — 60 კილომეტრზეა ანაკლია!

დაბა ჯვარს კარსტული მღვიმეებით განთქმული ყვირას მასივი ეკვრის, რომლის საიდუმლოებანი ლევან მარუაშვილმა თქვა თავის წიგნში — „შუქი ბნელეთში".

ენგურის მარჯვენა ნაპირზე ლეგენდების სავანეა — ოხაჩქუეს მთა — ოდიშელთა და სამურზაყანოელთა საზაფხულო აგარაკი, მთაგრეხილით ტყვარჩელს რომ გადახვევია. მისი ტრავერსიც სამერმისოდ არის განზრახული.

ენგურჰესი ეგრისის კალთებზე შენდება. იქ, ზევით კი ბევრი „ვარჩხილის ტბაა". დიახ, სწორედ ასე უწოდებენ მთის ტბებს სამეგრელოში — ტობავარჩხილიო. ერთ-ერთ მათგანს მშვენიერი პოემა მიუძღვნა ამ კუთხის შვილმა — სამამულო ომში დაღუპულმა პოეტმა ვლადიმერ უბილავამ.

აქვე ყურის ძირშია განთქმული, კურორტები და მინერალური წყლები —

ენგურჰესის შემოგარენში ბევრი ისტორიული ძეგლია: ჯვარში 300-წლოვანი კაკლის ხე — აკაკი წერეთლის სტუმრობის მოწმე. ყენის ციხე — თათარ-მონღოლთა ბატონობის მემატიანე, კოლხური ციხე-კოშკი, — მასზე ლეგენდით იწყება ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი", ქირსეს და წმინდა გიორგის ეკლესიები — აქ უტუ მიქავას „ურდუმი" ევვეთა დამსჯელ ექსპედიციას. ჯვარის ხიდი — აკაკი ბელიაშვილს აღტაცებით რომ ათქმევინა: „... ასეთი, ობობას ქსელივით დაჭიმულ ბაგირებზე დაკიდული ხიდი ჯერ არ მინახავს", ობუჯის ისტორიული სამცაცხვი — ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" ხომ გახსოვთ?! დადიანებისა და აშილ მიურატის დოხორეები. ზუგდიდის ცნობილი მუზეუმი და კიდევ რამდენი ჩამოვთვალო: ჯიხაშკარის, რუხის და კორცხელის ციხეები, სათანჯო, წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია — რუსთველის ეპოქის ხუროთმოძღვრება და მრავალი სხვა.

ტურისტული

სკური, ლუგელა, თეკენაში, ტიტა... ჯიხვებისა და არჩვების ასპარეზი — ორულაფუ, ქვაბი, ჯოლორნაშუმა, ხობისთავი, კინჩხის ჩანჩქერი; გარეული ღორების და ირმების სამეფო — წყავაში... მომავალში აქ დიდი ნაკრძალი იქნება. კალმახებით განთქმული ჭანის წყალი (ჭანთა ნაფუძარი), მაგანა, ოლორი, ოკალმახე — ენგურის შენაკადი.

პირველი ნაბიჯები

ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ჯერ ლერი სუხიშვილმა და გოდერძი ყიფშიძემ ითავეს, ორი-სამი კაცი აიყოლიეს და მშენებლობის მიდამოები დალაშქრეს. ჯვარის პირველი საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი აბელ ქუხილავაც მათთან იყო. თაოსნებს მალე ჰიმენიც შეუერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული



მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც უეფა-ს ამას წინათ ჩატარებულ ტრადიციულ ტურნირზე იუგოსლავიაში I-II ადგილები გაიყო იტალიის გუნდთან ერთად.

ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელებს ამ დიდი წარმატებისათვის მიენიჭათ სპორტის ოსტატის წოდება. სპორტის მოუვარულებმა უკვე იციან, რომ ნაკრებში თამაშობდა 3 ქართველი ფეხბურთელი: მ. შერგელაშვილი, რ. ჭოხონელიძე და გ. ნოდია. ამრიგად, საქართველოს ფეხბურთს შეემატა კიდევ 3 ახალი სპორტის ოსტატი.

სურათზე: საბჭოთა ფეხბურთელები მოსკოვის აეროდრომზე.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ქართული ჭიჭკელობა

გაიმართა I წრის ბოლო ტურის მატჩები.

● „ოდიში“ (ზუგდიდი) — „ტორპედო“ (გაგრა) 4:2. მსაჯი ი. რუსეიშვილი (ბათუმი).

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „განთიადი“ (ბორჯომი) 0:1. მსაჯი რ. ლაზიშვილი (ბათუმი).

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

ლიდერთა ამ შეხვედრას მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა და თამაში მართლაც მწვავე გამოდგა. პირველივე წუთებიდან ბრძოლა მიმდინარეობდა სრული დაძაბულობით, ორივე გუნდმა სრული აქტიურობა გამოიჩინა და თითო ქულა აიღო.

● „ქართლი“ (გორი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მცირე უპირატესობას, რომელიც სტუმრებს პირველ ტაიმში ჰქონდათ, მათთვის წარმატება არ მოუტანია. შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა გიორგობიანმა, ხოლო კანდელაკმა გაიტანა მეორე ბურთი. ამ მარცხს გორელებმა ერთსულოვანი შეტევებით უპასუხეს, მაგრამ შეძლეს მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა (გავრილიადი).

● „ისანი“ (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

ახალციხელებმა თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს მატჩის პირველი ნახევარი — 1:0. „ისანმა“ შემდგომ თამაში გაათანაბრა და საპასუხო გოლიც გაიტანა.

● „ირისტონი“ (ცხინვალი) — „დინამო“ I (თბილისი) 1:0. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

მატჩის მე-14 წუთზე დინამოელთა ერთ-ერთმა მცველმა უხეში შეცდომა დაუშვა, რაც კარგად გამოიყენა „ირისტონის“ თავდამსხმელმა ბიბილოვმა და ბადეში გაგზავნა ბურთი. ამის შემდეგ მასპინძელთა კარი ორჯერ იხსნა ძალმა. თბილისელებმა ვერც მეორე ტაიმში შეძლეს წარმატების მიღწევა და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

● ასკ (თბილისი) — „დინამო“ (ქუთაისი) 7:0. მსაჯი ნ. ტატინაშვილი (თბილისი).

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).

დასაწყისში ინიციატივა რკინიგზელებს ჰქონდათ, რაც დამთავრდა 28-ე წუთზე პერტენავას მიერ გატანილი გოლით. ეს ბურთი გაქვითულ იქნა 42-ე წუთზე მდივნის მიერ.

● „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:3. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მატჩის ფინალი მასპინძელთათვის დრამატული აღმოჩნდა. თავდაპირველად მათს ძლიერ შეტევებს ცენტრში, სადაც აქტიურად მოქმედებდა ზარდანია, მოჰყვა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლი. შესვენების შემდეგ იმავე ზარდანიამ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ეს ანგარიში კი, მახარაძელთა ძლიერი შეტევების მიუხედავად, უცვლელი იყო. 81-ე წუთზე „მეშახტის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა თალაკვაძემ.

„მერცხალმა“ კიდევ უფრო გააძლიერა შეტევები და დარჩენილ მცირე დროში სალუქვაძემ და მარგველაშვილმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ა. ბილჩენკო (სოხუმი).

ქვეჯგუფის ლიდერთა შეხვედრა საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მეტოქეები საკმაოდ ტექნიკურად და აზრიანად თამაშობდნენ და თუმცა ანგარიში არ გახსნილა, მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. კარგად იმსაჯა მილჩენკომ.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:3. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

● „ნარინჯი“ (ბათუმი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:0. მსაჯი ვ. ნადიროვი (რუსთავი).

● „დინამო“ I (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:2. მსაჯი დ. ნოდია (თბილისი).

ეს იყო ადრე ტურში გამოტოვებული მატჩი. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, ხოლო 72-ე წუთზე არობელიძემ გაქვითა გოლი. მატჩის დასასრულს აკლდა სულ 3 წუთი, როცა ახალციხელთა მცველმა ეპიტაშვილმა შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

II ქვეჯგუფი

I ზონა

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 4:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1, „სამცხე“ (აწყური) — „ჭერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1. წალკის „თრიალეთს“ მოგება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან“.

II ზონა

„კოლხეთი“ (ხობი) — „სულორი“ (ვანი) 0:1, „ჭიხურა“ (საჩხერე) — „აერო“ (გალი) 1:1, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:3, „ლაითური“ (მახარაძე) — „ზემო ქართლი“ (ხაშური) 2:2, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ცისარტყელა“ (თბილისი) 2:4.

მოსამზადებელ ჯგუფებში...

მოგვყავს ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების შეხვედრათა შედეგები.

I ქვეჯგუფი

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ფილა“ (გორი) 3:3, ინტერნატი № 2 (გლდანი) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) 1:0. თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა ტყიბულის „მეშახტესთან“ შეხვედრაში.

II ქვეჯგუფი

„ენგური“ (ზუგდიდი) — „კოლხიდა“ (ფოთი) 0:7, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი) 4:2, საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:1, „დინამო“ (ბათუმი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:3.

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	11	9	1	1	20—5	19
„სინათლე“ (თბილისი)	11	7	3	1	25—7	17
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	11	6	3	2	20—10	15
„განთიადი“ (ბორჯომი)	11	7	1	3	11—9	15
„მესხეთი“ (ახალციხე)	11	5	5	1	12—7	15
„ისანი“ (თბილისი)	11	4	3	4	7—6	11
„ირისტონი“ (ცხინვალი)	11	3	3	5	7—11	9
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	11	2	4	5	7—11	8
„ქართლი“ (გორი)	10	3	1	6	6—12	7
„ოდიში“ (ზუგდიდი)	11	2	2	7	9—30	6
„ტორპედო“ (გაგრა)	9	1	2	6	8—12	4
„დინამო“ I (თბილისი)	10	1	0	9	14—25	2

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	11	7	2	2	17—9	16
„მერცხალი“ (მახარაძე)	11	6	3	2	21—12	15
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	11	6	3	2	18—11	15
„ბერია“ (ლანჩხუთი)	11	5	4	2	21—8	14
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	11	4	5	2	12—14	13
„ნარინჯი“ (ბათუმი)	11	3	6	2	11—9	12
„შუქურა“ (ქობულეთი)	11	3	6	2	7—10	12
ასკ (თბილისი)	11	3	5	3	18—12	11
ფიზკ. ინსტ (თბილისი)	11	3	4	4	17—15	10
„მეშახტე“ (ტყვარჩელი)	11	2	3	6	9—15	7
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	11	1	4	6	10—19	6
„დინამო“ (ქუთაისი)	11	0	1	10	7—32	1

მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირი

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ ქუთაისი	6	3	2	1	12—7	8
„ფილა“ გორი	6	3	2	1	11—8	8
ინტერნატი № 2 გლდანი	6	3	2	1	5—2	8
საფეხბ. სკოლა თბილისი	6	3	2	1	6—4	8
„ალაზანი“ გურჯაანი	6	3	0	3	8—9	6
„შრომითი რეზერვები“ თბ.	6	2	1	3	9—10	5
„მეტალურგი“ რუსთავი	6	1	1	4	9—15	3
„მეშახტე“ ტყიბული	6	0	2	4	3—8	2

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ თბილისი	6	4	2	0	15—5	10
„დინამო“ თბილისი	6	4	1	1	12—5	9
განათლ. განყოფილება თბ.	6	3	1	2	6—3	7
„დინამო“ სოხუმი	6	2	2	2	9—9	6
„დინამო“ ბათუმი	6	2	2	2	4—6	6
„კოლხიდა“ ფოთი	6	2	1	3	12—10	5
საფეხბ. სკოლა გაგრა	6	1	2	3	5—11	4
„ენგური“ ზუგდიდი	6	0	1	5	1—15	1

მდგომარეობა 1 ივნისისათვის

ასპარეზობენ ჭაბუკები

გულრიფში

ნორჩ ფეხბურთელთა 20 გუნდი მონაწილეობდა „ტყვავის ბურთის“ რაიონულ გათამაშებაში.

I ადგილი წილად ხვდა სოფ. გულრიფშის „ოცნებას“ (მწვრთნელი დ. ჯოჯუა). მომდევნო ადგილებზე არიან დრანდის რუსული საშუალო სკოლისა (მწვრთნელი გ. კეკენარავა) და კოდორის ხე-ტყის კომბინატის (მწვრთნელი რ. ლოლუა) ფეხბურთელები.

Ш. ჯალალონია.

თერჯოლა

მესამე წელია აქ დაინერგა ფეხბურთელთა ე. წ. ქუჩური გუნდების შეჯიბრება. X კლასის მოსწავლე გ. ნიკოლაძის თაოსნობით შეძენილ იქნა თასი და 9 კოლექტივი შეუდგა გათამაშებას.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნიკოლაძეებისა და ფანჩულიძეების ქუჩათა გუნდები. ანგარიშით 4:2 გამარჯვება წილად ხვდათ პირველებს. ამ ინიციატივას გამოეხმაურა სოფ. ნავენახების ახალგაზრდობა. აქ შეჯიბრებაში ჩაება 5 გუნდი. გაიმარჯვეს კუბლაშვილების ქუჩის ფეხბურთელებმა. II ადგილზეა ცეცხლაძეების ქუჩის გუნდი.

ლ. ჯიშიაშვილი.

სამტრედია

საინტერესოდ ჩატარდა ქუჩების, ეზოებისა და უბნების ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება. ვის არ ნახავთ პატარების მატჩებზე!

შარშან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 გუნდი, ხოლო წელს — 25. მსაჯთა კოლეგიის მუშაობას ხელმძღვანელობდა ძველი ფეხბურთელი, პედაგოგი ს. ერქვანიძე. ადგილობრივი სტადიონის დირექტორმა გ. ჩიქობავამ ყველაფერი გააკეთა, რათა კარგი პირობები შეექმნა პატარებისათვის.

შეჯიბრება დამთავრდა კეცხოველის უბნის „სეტყვის“ (მწვრთნელი ყურულაშვილი) გამარჯვებით. კარგად ითამაშეს, აგრეთვე, „თოლიამ“, „ინტერნაციონალმა“, „გაზაღუსულმა“ და სხვ.

გ. კალაძე,
სამტრედიის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

მერიდიანი

და, სახელგანთქმული ხერგიანების ბიძაშვილი — ისიც მთამსვლელი. ასე შეიკრა ბირთვი. მერე განცხადებით აუწყეს მშენებლებს ტურისტული კლუბის შექმნისა და პირველი ლაშქრობის შესახებ.

... თვეზე მეტია მას შემდეგ. დღემარქეოლოგიურ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

გამოქვაბულში ტბაა. მდვიმის ჭერი წყლის ზედაპირს ებჯინება. ერთი შეხედვით, გზა თითქოს აქ მთავრდება, ლ. მარუაშვილი კი მის გაგრძელებას მშვენიერი იდეა ჩაესახათ.

— ოხაჩქუე რომ მოეწყოს, კარგი საზამთრო აგარაკიც იქნება. აბა, ოცნებაში წარმოიდგინეთ: ზამთრის სპორტული ბანაკები, ჯვრიდან და მუქაევიდან მთის წვერამდე გაჭიმული საბაგირო დის ორი ლაშქრობა მოეწყო. პირველად „დევის გამოქვაბულს“ ეწვივნენ, როშელზეც ლეგენდა დადის სოფელში. ნაშენებლები მოხიბლა ბუნების საოცრებამ. სანლოებითა და ფარნებით მიწეულნენ წინ. გაიხსენეს: 1958 წელს აქ გადაშენებულ ცხოველთა ნაშთები აღმოჩნდა. ისინი 60.000 წლით დაათარიღეს არქეოლოგებმა და 1961 წლის წინასწარმეტყველებს. ეს მომავალი კვლევის საგანია. სხვათა შორის, სწორედ ამ ტბიდან გადაწყდა დაბა ჯვარისთვის წყლის გადაყვანა.

8 მარტს ოხაჩქუეზე (2.500 მეტრამდე) ავიდნენ. მთა თოვლის პაპას უფრო ჰგავდა, გაშლილი პლატოთი და ლამაზი, დაუსრულებელი წიწვნარით. მისი კალთები ოქტომბრიდან მაისის ბოლომდე თოვლითაა დაფარული.

გზები. ძირს მოლივლივე ჯვრის ზღვა... მაშინ ოხაჩქეე ბაკურიანსაც გაუწევს მეტოქეობას!

აქედან ხელისგულივით ჩანს სამშობლოს მთა და ბარი. მზიან ამინდში შავი ზღვის ლურჯ ზოლსაც დაინახავ. თვით იალბუნიც ჩანს ოხაჩქუედან!

შთაბეჭდილებით დატვირთულნი დაბრუნდნენ შინ. დილით სტენდი გამართეს ენგურკამხალმშენის კლუბში.

გავიდა ხანი. ლაშქრობების შემდეგ კვლავ შეიკრიბნენ. პიმენ ხერგიანს ათასობით ზეგეგმითი აგური მოუტანია და სარაჩოების ტყე აღუმართავს მშენებლობაზე.

აბელ ქუხილავა ისევ ბავშვებს დასტრიალებს თავს. მოწაფეებს უყვართ ბუნება, მასწავლებელს გულისყურით უსმენენ, ვარჯიშობენ, ხვალ-ზეგ თვითონ აპირებენ სალაშქროდ წასვლას.

ვაჟა შალამბერიძე გვირაბგამყვანია. ენგურისპირა კლდეებს შეჭიდებია. ლაშქრობის შემდეგ კაცს ძალა ემატებაო, — თქვა.

ელგუჯა ქოსაშვილმა და ანდრო ზამბახიძემ ახალი ენერგიით შეუტიეს სტადიონის მშენებლობას. ჩქარობენ, ჯვრის „კაშხალის“ ფეხბურთელთა გუნდი სარბიელზე ხომ ოდესღა გამოვიდეს!

დიდია ტურიზმის ძალა!

მაგრამ... დარიბია მშენებელთა კლუბი!

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კარავი ენგურჰესის მშენებლობა.

11 ტურის შემდეგ

ეს პატარა გოგონები ნონა. გიორგაძე და ზეინაბ შენგელია საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIII ჩემპიონატის დებიუტანტები არიან (ეს სურათი მათ ფოტომოყვარულმა თამაზ ჩხაიძემ გადაუღო).

გოგონები ცვალებადი წარმატებით გამოდიან ჩემპიონატში.

ნონა უფრო გამოცდილი მებრძოლია: აჭარის ქალთა ჩემპიონატში მან ზედიზედ ორჯერ დაიკავა II ადგილი. 11 წლის გოგონასთვის (იგი ბათუმის მე-17 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელია) ეს შესანიშნავი წარმატება გახლავთ. მიმდინარე შეჯიბრებაში პატარა ნონამ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიასთან.

უჭირს თამაში 13 წლის ზ. შენგელიას (სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი). მას არასოდეს უთამაშია ესოდენ ძლიერ ტურნირში. მხოლოდ წლეულს მოიხვეჭა მან II თანრიგი. მაგრამ ზეინაბი იძენს ძვირფას გამოცდილებას და შემდგომში მისგან წარმატებებს ველით.

გუშინ შედგა XI ტური. აი, მისი შედეგები: ივანოვა — ლოლიშვილი 1:0, კახაბრიშვილი — მანველოვა 1:0, შენგელია — ჩიქობავა 0:1, გოგიავა — ბაძაღუა 0,5:0,5, გიორგაძე — ხუბულური 0:1, ჩომახიძე—ჩხიკვაძე 0,5:0,5, ნაჭყებია — სვანაძე 0,5:0,5. გუშინწინ შემდგარი X ტურის შედეგები ასეთია: ჩიქობავა — ივანოვა 1:0, ლოლიშვილი — კახაბრიშვილი 0:1, მანველოვა — გიორგაძე 1:0, ჩხიკვაძე — ხუგაშვილი 0:1, ჩაიკოვსკაია — შენგელია 1:0.

11 ტურის შემდეგ წინ არიან ც. კახაბრიშვილი (10 ქულა), ა. ჩაიკოვსკაია (8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ნ. ხუბულური (6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), თ. ხუგაშვილი (6,5), ც. კობაიძე (6 ქულა და 2 გადადებული პარტია).

თ. ნინოშვილი.

ᲥᲐᲚᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲯᲘ

● ბუდაპეშტი, 31 მაისი. თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატები აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს ფარიკაობაში ასპარეზობდნენ. 37 მოგებით (54 შესაძლებლიდან) I-II-III ადგილები გაიყვეს მასპინძლებმა ბოდნარმა, მონამ და საბჭოთა პორტსმენმა ლედნევმა. თვითეულმა 979 ქულა დაგროვა.2 სახეობის შემდეგ I ადგილზეა ბოდნარი (2019 ქულა). მას 105 ქულით ჩამორჩებიან მანეევი და ბელოვი. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ უნგრეთის I ნაკრების ხუთჭიდელები. მათ 78 ქულით ჩამორჩებიან საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრების წარმომადგენლები.

● ლუქსემბურგი, 31 მაისი. 5 ივნისს აქ გაიმართება 250 კმ სმ კლასის მანქანების მოტოკროსში მსოფლიო პირველობის VIII ეტაპი. საბჭოთა სპორტსმენთაგან მონაწილეობას მიიღებენ არბეკოვი, დრაუგსი, შინკარენკო. 7 ეტაპის შემდეგ I ადგილზეა შვეიცელი ლემანი, II—ბელგიელი რობერი, ხოლო III — არბეკოვი.

● კრასნოდარი, 31 მაისი. დღეს აქ გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „უუბანმა" მოუგო კარლმარქსშტადტის (გდრ) გუნდს — 2:1.

„როგორ მოვიქცეთ?"

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 30 მაისი (საკდესი). ჩინეთის სპორტული გაზეთი „ტიიუი ბაო" ცნობაში, რომელიც 25 მაისს გამოქვეყნა სათაურით: „20 კითხვა: როგორ მოვიქცეთ?" — წერს:

„21 მაისს ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა ინფორმაცია: „ვიხელმძღვანელოთ მაოს შემოქმედებით". ამ ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ ამხანაგმა ჯან ცზიაფუმ*) ამა წლის დასაწყისში სხვა ამხანაგებთან ერთად შეისწავლა ის იდეოლოგიური საკითხები, რაც სპორტსმენების წინაშე წამოიჭრება ხოლმე შეჯიბრებების დროს და შეადგინა კრებული „20 კითხვა: როგორ მოვიქცეთ?" ჯუან ცზია-ფუმ და სხვა ამხანაგებმა გამოიყენეს ადგილები „მაო ძე-დუნის ციტატების კრებულიდან" და პასუხი გასცეს ამ კითხვებს.

ვბეჭდავთ ამ 20 კითხვას და მათზე გაცემულ პასუხებს, რომლებიც ამხანაგმა ჯუან ცზია-ფუმ და სხვებმა შეადგინეს.

1. როგორ მოვიქცეთ, როცა შეჯიბრების წინ გაუბედაობა და იდეოლოგიური შიში შეგვიპყრობს? — წაიკითხეთ 78-ე, 171-ე, 222-ე გვერდები.

2. როგორ მოვიქცეთ, თუ ასპარეზობის წინ ნერვიულობა და ყოყმანი აგვიტანს? —წაიკითხეთ 197-ე გვერდი.

3. როგორ მოვიქცეთ, როცა სუსტ მეტოქესთან გვაქვს საქმე? —წაიკითხეთ 65-ე და 88-ე გვერდები.

4. როგორ მოვიქცეთ, როცა ძლიერ მეტოქეს ვხვდებით? — წაიკითხეთ 88-ე და 169-ე გვერდები.

5. როგორ მოვიქცეთ, როცა ახალი ტექნიკური ილეთების დამუშავებისას მოულოდნელ დაბრკოლებებს წავაწყდებით? — წაიკითხეთ 170-ე, 192-ე, 268-ე გვერდები.

6. როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ აგვეკვიატა აზრი, რომ შეჯიბრებებში ბედი გვწყალობს?— წაიკითხეთ 87-ე და 167-ე გვერდები.

7. როგორ მოვიქცეთ, როცა საშიშ მეტოქესთან ბრძოლას დაგვავალებენ? —წაიკითხეთ 157-ე, 171-ე, 207-ე გვერდები.

8. როგორ მოვიქცეთ, როცა ამა თუ იმ შეხვედრის ჩატარება დიდად არ გვწყურია? — წაიკითხეთ 146-ე და 147-ე გვერდები.

9. როგორ მოვიქცეთ, როცა გუნდურ შეჯიბრებებში ჩვენი ამხანაგები ჩვენს საასპარეზოდ გასვლამდე მარცხდებიან? — წაიკითხეთ 156-ე და 157-ე გვერდები.

10. როგორ მოვიქცეთ, თუ წინ ჯერ კიდევ ბევრი შეჯიბრებაა, ჩვენ კი უკვე დაღლილი ვართ და თამაშიც აღარ გვიზიდავს? — წაიკითხეთ 157-ე გვერდი.

11. როგორ მოვიქცეთ, როცა ქულას ვიგებთ?— წაიკითხეთ 204-ე და 229-ე გვერდები.

12. როგორ მოვიქცეთ, როცა ქულას ვაგებთ? —წაიკითხეთ 170-ე გვერდი.

13. როგორ მოვიქცეთ, თუ შეგვაქეს? — წაიკითხეთ 168-ე და 204-ე გვერდები.

14. როგორ მოვიქცეთ, როცა გვაკრიტიკებენ?—წაიკითხეთ 148-ე, 223-ე, 241-ე გვერდები.

15. როგორ მოვიქცეთ, როცა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ვართ? — წაიკითხეთ მე-3, 212-ე, 219-ე გვერდები.

16. როგორ მოვიქცეთ, როცა ამხანაგებთან მაინცდამაინც კარგად ვერა ვართ? — წაიკითხეთ 129-ე, 134-ე გვერდები.

17. როგორ მოვიქცეთ, როცა სხვებს რაიმე ნაკლს ვამჩნევთ? — წაიკითხეთ 223-ე, 225-ე და 238-ე გვერდები.

18. როგორ მოვიქცეთ, როცა სხვებს რაიმე შენიშვნას ვაძლევთ, ისინი კი არ გვეთანხმებიან? — წაიკითხეთ 47-ე და 131-ე გვერდები.

19. როგორ მოვიქცეთ, როცა ვიცით, რომ ეგოისტურად ვიქცევთ, მაგრამ ამის აღიარება ვერ გაგვიბედია? —წაიკითხეთ 208-ე, 229-ე, 232-ე გვერდები.

20. როგორ მოვიქცეთ, როცა ცხოვრებაში რაიმე გაგვიჭირდება? —წაიკითხეთ 160-ე, 204-ე, 210-ე გვერდები".

*) ჯუან ცზია-ფუ მაგიდის ჩოგბურთის ცნობილი ჩინელი ოსტატი, ავტორი „გუანმინ ჟიბაოს" 14 მაისის ნომერში დაბეჭდილი სტატიისა „შევიარაღდეთ მაო ძე-დუნის იდეებით".

ᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲕᲡᲝ

მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებით წლეულს უჩვეულოდ გაგრძელდა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი. მხოლოდ ამ დღეებში ჩატარდა დარჩენილი შეხვედრები და აი, გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს:

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული"	42	79:34	61
„ლიდს იუნაიტედი"	42	79:38	55
„ბერნლი"	42	79:47	55
„მანჩესტერ იუნაიტ".	42	84:59	51
„ჩელსი" (ლონდონი)	42	65:53	51
„ვესტ ბრომვიჩ ალბ".	42	91:69	50
„ლეისტერ-სიტი"	42	80:65	49
„ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი)	42	75:66	44
„შეფილდ იუნაიტედი"	42	56:59	43
„სტოკ-სიტი"	42	65:64	42
„ევერტონი" (ლივერპ.)	42	56:62	41
„ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ლონდონი)	42	70:83	39
„ბლეკპული"	42	55:65	37
„არსენალი" (ლონდ.)	42	62:75	37
„ნიუკასლ იუნაიტედი"	42	50:63	37
„შეფილდ უენსდეი"	42	56:66	36
„ასტონ ვილა" (ბირ.)	42	69:80	36
„ნოტინჰემ ფორესტი"	42	56:72	36
„სანდერლენდი"	42	51:72	36
„ფულჰემი" (ლონდ.)	42	67:85	35
„ნორთჰემპ.-ტაუნი"	42	55:92	33
„ბლეკბერნ როვერზი"	42	57:88	20

I ლიგა დატოვეს „ნორთჰემპტონ-ტაუნმა" და „ბლეკბერნ როვერზმა". მათ ადგილს დაიკავებენ II ლიგაში გამარჯვებულნი — „მანჩესტერ-სიტი" და „საუთჰემპტონი".

(საკ. ინფ.).

ᲤᲠᲔᲓ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐᲜ

ᲰᲐᲘᲤᲐ (ისრაელი). აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მაკაბი" და ინგლისის თასის მფლობელი „ევერტონი". პირველ ნახევარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით მასპინძელთა გარემარბმა შმულევიჩმა ანგარიში გახსნა —1:0.

შესვენების შემდეგ ინგლისელთა ცენტრფორვარდმა ტრებილკოკმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ამხანაგური მატჩი დამთავრდა ფრედ —1:1.

(საკ. ინფ.).

ᲢᲔᲚᲔᲤᲠᲐᲜᲔᲑᲗᲐᲡ —400 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ

ლონდონი, 1 ივნისი. „მომავალი მსოფლიო პირველობა ფეხბურთში — მოვლენაა, რომლის მსგავსი ცხოვრებაში ერთხელ ხდება. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ უსიტყვო პრიორიტეტი მივაკუთვნოთ მის გაშუქებას, იმ ტელემაყურებელთა მხრივ შესაძლო საყვედურების მიუხედავად, ფეხბური რომ არ აინტერესებთ", — ასე განუცხადა პრესის წარმომადგენლებს ინგლისის სატელევიზიო კომპანია „ბი-ბი-სის" წარმომადგენელმა. იგი შეეხო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ამბებს თუმცა უპასუხოდ დატოვა კითხვები—თუ რა დაუჯდება კომპანიას ტელერეპორტაჟი და სამაგიეროდ რას მიიღებს? „ბი-ბი-სის" წარმომადგენელმა არ თქვა, თუ რამდენადაა დაინტერესებული ეს კომპანია „წმინდა ფეხბურთის ხელოვნების" სიყვარულით. ასეა თუ ისე, მოყვანილი ციფრები თავისთავად საინტერესოა.

ყოველ საღამოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას „ბი-ბი-სი" ფეხბურთს დაუთმობს 2 საათზე მეტს, ამასთან, მთლიანად გადაიცემა ერთი „ცენტრალური" მატჩი და სხვა თამაშების ძირითადი მომენტები.

კომპანია კომენტატორებად იწვევს ინგლისის მოწინავე პაფეხბურთო კლუბების ექვს მენაჯერს, ორ ყველაზე უფრო ცნობილ ინგლისელ მსაჯს, ინგლისის ნაკრების ყოფილ მენაჯერს და ამ ნაკრების ყოფილ კაპიტანს და, აგრეთვე, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდის ყოფილ კაპიტანს.

29 ქვეყანა რეტრანსლაციას გაუწევს მატჩებს ან ცალკეულ ეპიზოდებს. ამჟამინდელი გამოანგარიშებებიდან გამომდინარე, სატელევიზიო აუდიტორია შეიკრიბება 100 მილიონი ადამიანისგან წინასწარი თამაშების დროს და 400 მილიონი ადამიანისგან ფინალური შეხვედრისას, რომელიც ლონდონის „უემბლის" სტადიონზე გაიმართება.

ᲐᲘ, ᲔᲡᲔᲜᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲔᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ...

● ᲚᲣᲘᲡ ᲡᲣᲐᲠᲔᲡᲘ

— ჩემთვის ფეხბურთი თამაშიცაა და მუშაობაც. მინდორზე მე ვშრომობ ისევე, როგორც სხვა შრომობს თავის დარგში. მთელ ენერგიასა და ენთუზიაზმს თამაშს ვანდომებ, — ამბობს ლუის სუარეს მირამონტესი, მილანის „ინტერნაციონალეს" და ესპანეთის ნაკრების ბურჯი.

სუარესი „ინტერნაციონალემ" შეიძინა ესპანეთის „ბარსელონასაგან" 250 მილიონ ლირად! იტალიური ფეხბურთისთვისაც კი ეს ასტრონომიული ციფრია. სუარესი „ინტერში" ცნობილმა მწვრთნელმა ე. ერერამ გადაიბირა.

— „ბარსელონაში" მე მხოლოდ „გოლეადორი" (სნაიპერი) ვიყავი, ერერამ კი ჩემში კიდევ სხვა რაღაც შეამჩნია, — ამბობს სუარესი.

ერერას ხელმძღვანელობით სუარესმა შეცვალა თამაშის სტილი, შეწყვიტა ბურთის გაუთავებელი ტარება და „დირიჟორობა" შეისწავლა.

სახელმოხვეჭილი თავდამსხმელი უაღრესად თავაზიანია და მილანელ მაყურებელთა „კერპად" იქცა. ისინი ამბობენ: არ არსებობს თანხა, რომლისთვისაც ვინმეს გავატანთ სუარესს.

თავისუფალ დროს სუარესი გატაცებით უთამაშებს მუსიკას და ამავე დროს, მუსიკალური საკრავების კოლექციონერიცაა...

სურათზე: ლუის სუარესი.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

11 УЗ 05961

რედაქტორი მ. კაკაბაძე.